ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 1

ქ. ონი 25. 01. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 7 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, ლევან ორდინიძე, სერგო ლობჯანიძე, სონია გუგეშაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, მამუკა ყავლაშვილი.

არ ესწრებოდნენ: ალავერდ ხვედელიანი, ვასილ მეტრეველი, გივი მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, თეიმურაზ ცეცაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ლილიანა კერესელიძე, მერიის იურიდიული სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო დავლიანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

2. ონის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის მიერ პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: ნინო დავლიანიძე-იურიდიული სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხსენებელი: ნინო დავლიანიძე-იურიდიული სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ ბიუროს წევრებმა იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე.

ს. ლობჯანიძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტში ადგილობრივი გაზეთის გამოშვების შესახებ. ს. გუგეშაშვილმა ისაუბრა ამფითეატრის დაარსებაზე.

ბ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი გაზეთის გამოშვება ნამდვილად კარგი ინიციატივაა. საჭიროა შევჯერდეთ და ჩამოვყალიბდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება ამფითეატრს, გათვალისწინებულია ძველი სტადიონის ტერიტორიაზე.

ა. კერვალიშვილმა ისაუბრა სოფ. სორში ღელის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების აუცილებლობაზე.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე